უშგული, მინდია ჩაჩქსელიანის ფოტო

2022 წელი, №4 * მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო გამოცემა

მესტიის მუნიციპალიტეტში 3 ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა დაიწყო

ბეჩოს ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ მაზერში, მულახის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჭოლაშში და დაბა მესტიაში, 50 ბავშვზე გათვლილი ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის პირველი ეტაპი მიმდინარეობს.

პროექტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ფინანსდება და მისი ღირებულება შეადგენს 4 707 850 ლარს.

პროექტის ითვალისწინებს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობას, რეკრეაციული ზონის და ეზოს კეთილმოწყობას, გასართობი ატრაქციონებით, საოთამაშო ქვიშის მოედნებით, საქანელებით, ეზოს სკამებით, სასრიალოებით, საცოცი გასაძრომი კონსტრუქციებით, საჩრდილობელი ფანჩატურებით, ნაგვის ურნებით და სასმელი წყლის შადრევნებით (ე.წ სოკოს). სამივე შენობა ადაპტირებული იქნება სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის.

სამშენებლო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში (NAT220014851) გამარჯვებული კომპანია შპს. "ბანი“ ასრულებს.

ამ ეტაპზე დაწყებულია კოლონა-რიგელების არმირების სამუშაოები. სამუშაოების შესრულების ვადა გახლავთ 18 თვე.

ჭუბერში ახალი სკოლები აშენდება

მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბერის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ყარ-სგურიშში და ჭუბერის ცენტრში ახალი სკოლები აშენდება.

ამ ეტაპზე ახალი სკოლის სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია ჭუბერის ცენტრში.

პროექტი საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაფინანსებით ხორციელდება და მისი ღირებულება 6 374 538 ლარს შეადგენს.

პროექტი ითვალისწინებს 150 მოსწავლეზე გათვლილი, ახალი ორსართულიანი სკოლების მშენებლობას, დახურული სპორტული დარბაზების აშენებას, რეკრეაციულ ზონებს და სკოლის ეზოს ტერიტორიის კეთილმოწყობას შემოღობვის გათვალისწინებით.

სკოლები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყობა და სრულად იქნება ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს მონოლითური არმირებული იატაკის ფილის და მონოლითური რკინა-ბეტონის რიგელების მონტაჟი.

სამშენებლო სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული (NAT220014860) კომპანია შპს "ბანი“ ასრულებს.

ნესგუნსა და ღემსიაში წყალმომარაგების ახალი სისტემის მოწყობა მიმდინარეობს

ლენჯერის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში, ნესგუნსა და ღემსიაში ახალი წყალმომარაგების სისტემის მოწყობა მიმდინარეობს. პროექტის ღირებულება 1 250 000 (მილიონ ორას ორმოცდაათი ათასი) ლარს შეადგენს.

პროექტის მიხედვით, სასმელი წყლის სათავე ნაგებობები მოეწყობა სოფლებიდან 4 კილომეტრში, მდინარე ფუშყვერის ერთ-ერთ შენაკადზე, უშუალოდ საიდანაც იწყება წყაროები. ამჟამად სოფლებს ნესგუნსა და ღემსიას არ გააჩნია სასმელი წყლის მომარაგების სისტემები, მოსახლეობას ინდივიდუალურად აქვთ წყალი შეყვანილი, ქსელი კი მოძველებულია.

მოსაწყობ სათავე ნაგებობებსა და საპროექტო 20 კბმ რეზერვუარების ნიშნულთა შორის დიდი სხვაობის გამო მაგისტრალურ მილსადენზე მონტაჟდება წნევის განმტვირთავი ჭები, ხოლო სათავიდან მესამე ჭიდან იყოფა მაგისტრალური მილსადენი ორად სოფლების ნესგუნისა და ღემსიას რეზერვუარებამდე.

ორივე სოფელში მოეწყობა 20 კბმ მოცულობის სამარაგო რეზერვუარები, რეზერვუარებიდან კი ეწყობა ახალი შიდა ქსელი (გამანაწილებელი). რადგან სათავეები ეწყობა წყაროებზე იმ ადგილას სადაც უშუალოდ წყარო იწყება, გამწმენდი ნაგებობა და საქლორატორო არ არის გათვალისწინებული.

სამშენებლო სამუშაოებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ ტენდერში (NAT220016040) გამარჯვებული კომპანია შპს „თექ ჰაივეი“ ასრულებს.

საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი მესტიის მუნიციპალიტეტში

10 – 13 სექტემბერს, მესტიის მუნიციპალიტეტს, საქართველოს პრეზიდენტი, ქალბატონი, სალომე ზურაბიშვილი სტუმრობდა.

ვიზიტის პირველ დღეს, პრეზიდენტმა შეხვედრა მესტიის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან გამართა. შეხვედრას ესწრებოდნენ მესტიის მუნიციპალიტეტის მერი, კაპიტონ ჟორჟოლიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ნელი ნავერიანი, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მაიზერ ჯაფარიძე, მერის თანაშემწე განათლების, კულტურის, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საკითხებში, ვახტანგ ფილფანი და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ქეთევან ხარძიანი.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა სვანეთში მდგრადი განვითარებისა და ინფრასტრუქტურული პროექტების

მნიშვნელობას ტურიზმის ტემპის ზრდისა და განვითარებისათვის.

ინფრასტრუქტურულ პროექტებს შორის განსაკუთრებით აღინიშნა უშგულისა და ლენტეხის დამაკავშირებელი გზის პროექტების მნიშვნელობა.

შეხვედრისას მხარეებმა სვანური ენის უნიკალურობაზე და ქართველურ ენებში მის ისტორიულ სტატუსზეც იმსჯელეს. როგორც ცნობილია, რამდენიმე თვის წინ საქართველოს პრეზიდენტი, სვანური ენის სკოლებში სწავლების ინიციატივით გამოვიდა. პრეზიდენტისგან მესტიის მუნიციპალიტეტმა ორბელიანების სასახლეში რეგიონულ კვირეულში მონაწილეობის მოწვევა მიიღო.

შეგახსენებთ, რომ ორბელიანების სასახლეში რეგიონული კვირეულის ჩატარება პრეზიდენტის ინიცი-

ატივაა, რომლის მიზანიც დედაქალაქისა და ფართო საზოგადოებისათვის ადგილობრივი კულტურისა და ეკონომიკის უპირატესობების გაცნობა და ჩვენებაა.

საქართველოს პრეზიდენტი სვანეთში 30 მეგავატი დადგმული სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის, „მესტიაჭალა ჰესის“ მუშაობის სპეციფიკას და პოტენციალს გაეცნო, რომელიც წლიურად დაახლოებით, 100 მლნ კვტ. სთ ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

პრეზიდენტმა სახელმწიფო ჯილდო უძველესი სვანური ტრადიციების შესაბამისად, ტაძრის და საგანძურის მცველებს ლილე (ლევან) გუგუსიანს, ზაურ გულბანს, ბაგრატ ნანსყანს (სიკვდილის შემდეგ), მირონ ფირცხელანს, ომარ ქალდანს, იაროსლავ ჩხეტიანს, ტოტა ჭეხანს, რევაზ ხოჯელანს, სვანეთის ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის დირექტორის მოადგილეს, რუსუდან ჯაფარიძეს და უშგულის მუ-

ზეუმის თანამშრომელს, ნანული ჭელიძეს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ქვეყნის ერთგული სამსახურისთვის გადასცა.

საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო ჯილდო მიიღეს იმ ადამიანებმა, ვისი წინაპრებიც საუკუნეების განმავლობაში იცავდნენ იმ განძს, რომელიც საქართველოს მეფეებმა საქართველოს სხვადასხვა დროს და ეპოქაში შემოუნახეს.

სალომე ზურაბიშვილმა მოინახულა კალას წმინდა კვირიკეს და ივლიტას სახელობის ტაძარი, ლატალის „მაცხვარიშის„, ფარის წმინდა გიორგის ტაძარი და უშგულის „ლამარია“.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა იმას, რომ არსებული სიტუაციიდან გამომდინარე საჭიროა სახელწიფოს მხრიდან მოხდეს ტაძრების მართვის გეგმის და პრინციპების შემუშავება.

მეხძეგეობის სახელმწიფო პროგრამა

თუ ხართ დაინტერესებული მერძევეობის დარგის განვითარებით, სოფლის განვითარების სააგენტო გაძლევთ შესაძლებლობას მიიღოთ მონაწილეობა „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის“ სახელმწიფო პროგრამაში.

პროგრამა ითვალისწინებს მერძევეობის მიმართულებით ძირითადი საშუალებების შეძენის/შექმნის და სადაზღვევო პრემიის თანადაფინანსებას.

რძის პირველადი წარმოების მიმართულებით დაფინანსდება შენობა-ნაგებობისა (პირუტყვის სადგომი) და ფერმის მოწყობისთვის საჭირო მცირე აღჭურვილობა;

თანადაფინანსების მაქსიმალური თანხა

შეადგენს 30000 ლარს, ხოლო თანამონაწილეობის მაქსიმალური პროცენტული წილი და ოდენობა ერთ ბენეფიციარზე წარმოადგენს: ქალი - 20%, მამაკაცი - 40%.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მესტიის მუნიციპალიტეტის მერიაში, სოფლის განვითარების სააგენტოს მესტიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის წარმომადგენლებმა, საინფორმაციო შეხვედრა გამართეს მესტიის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან.

პროგრამის მიზანია სოფლად ეკონომიკის განვითარება, კონკურენტუნარიანი და მდგრადი მერძევეობის დარგის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად უნდა დარეგისტრირდეთ მითითებულ ბმულზე http://my.mepa.gov.ge/LogOn

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ ეწვიოთ სოფლის განვითარების სააგენტოს მესტიის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრს (მის: დ. მესტია, კახიანის ქ. N1), ან დარეკეთ შემდეგ ტელეფონის ნომერზე:

+995 595 85 83 38;
+995 595 85 83 31;
+995 595 03 85 65.

ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს „ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის„ პროგრამას, რომელიც ეხება:

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სასკოლო ასაკის მქონე ბავშვებზე, მათ შორის შშმ ბავშვებზე, საკანცელარო ნივთების შესაძენად ერთჯერადი დახმარების გაწევას, თითოეულ ბავშვზე 100 (ასი) ლარის ოდენობით;

კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის ექვს წლამდე ასაკის მქონე ბავშვების, მათ შორის შშმ ბავშვების ხელოვნური (სპეციალური) კვების პროდუქტების და ჰიგიენური საშუალებების დაფინანსებას, თითოეულ ბავშვზე ერთჯერადად 100 (ასი) ლარის ოდენობით.

განცხადების საფუძველზე მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური დაცვის სამსახურის, სოციალური, ჯანმრთელობის, ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების თანამშრომლების მიერ, ადგილზე ხდება შეფასების სპეციალური ფორმის შევსება, რომლის საფუძველზეც სპეციალურად შექმნილი კომისია გადაწყვეტს, შეფასდეს თუ არა ოჯახი, როგორც კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახი.

აღნიშნული პროგრამის მიზანია, მესტიის მუნიციპალიტეტში კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ოჯახების დახმარებისა და ხელშეწყობის უზრუნველსაყოფა, მათთვის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების და წახალისების მიზნით მატერიალური დაფინანსების გაწევა.

ფულადი დახმარების გაცემა და თანხის ჩარიცხვა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით, შესაბამისი დაწესებულების პირად საბანკო ანგარიშზე .

გურამ თიკანაძის გამოფენა

12 სექტემბერს, სახელგანთქმულ ფოტოგრაფსა და ალპინისტს, გურამ თიკანაძეს 90 წელი შეუსრულდებოდა.

სწორედ ამ ღირსშესანიშნავი თარიღის აღსანიშნავად, ლატალის გურამ თიკანაძის სახელობის სპორტული კომპლექსის საგამოფენო სივრცეში, ფოტოხელოვანის უნიკალური ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, საიუბილეო ღონისძიებაზე, გურამ თიკანაძის მეგობრებმა და გულშემატკივრებმა ისაუბრეს მის განვლილ ცხოვრებასა და ღვაწლზე.

საკონცერტო ნაწილში მესტიის ფოლკლორული ანსამბლი "რიჰო" წარსდგა დამსწრე საზოგადოების წინაშე.

შეგახსენებთ, რომ გურამ თიკანაძე 30 წლის ასაკში, 1963 წლის 27 აგვისტოს, ტრაგიკულად დაიღუპა მწვერვალ შხარადან დაშვების დროს.

ახალი სასწავლო წელი პირველკლასელებისთვის

მესტიის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლაში 15 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი საზეიმოდ განახლდა.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერია ულოცავს ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს ახალი სასწავლო წლის დაწყებას, განსაკუთრებით კი პირველკლასელებს, რომლებმაც პირველად შეაღეს სკოლის კარები და პირველად დაირეკა მათთვის სკოლის ზარი. ყოველი მათგანისთვის ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვანი ეტაპი იწყება. ვუსურვებთ წინსვლას, წარმატებებს და ნაყოფიერ ახალ სასწავლო წელს.

სასწავლო პროცესის დაწყება მესტიის N1, მესტიის N2, მესტიის N3 საჯარო სკოლებს და წმ. ილარიონ ქართველის მესტიის მართლმადიდებლურ სკოლა-გიმნაზიას, პირველკლასელებს და პედაგოგებს მესტიის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველმა სოციალური და კულტურის საკითხებში, ლევან კიკვიძემ, პირადად მიულოცა.

შაკო შუკვანის ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში

მესტიის მუნიციპალიტეტში, შაკო შუკვანის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი გაიმართა მაგიდის ჩოგბურთში. ღონისძიებას ორგანიზება შაკოს მეგობარმა, სანდრო მერლანმა გაუწია. ტურნირი უკვე მეორედ ჩატარდა და ის ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს.

ტურნირის პირველ ეტაპზე, ყველა სოფელში გამოვლინდა პირველი სამეული, რომლებმაც შემდეგ ფინალურ ეტაპზე გადაინაცვლეს. საფინალო შეხვედრები მესტიის კულტურისა და ხელოვნების ცენტრში გაიმართა და გამოვლინდნენ გამარჯვებულები:

I ადგილი - გიგი არღვლიანი

II ადგილი - გაბო კვიციანი

III ადგილი - ლუკა შამფრიანი

ტურნირის საპრიზო ფონდი გახლდათ, პირველი ადგილისთვის - 1000 ლ., მეორე ადგილისთვის - 700 ლ, ხოლო მესამე ადგილისთვის - 300 ლ.

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის სახელით, მადლობას ვუხდით ღონისძიების ორგანიზატორსა და „დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო ცენტრს„, რომელიც ღონისძიების ფინანსური მხარდამჭერი გახლდათ.

„მუხოს“ ტურნირი

1-5 სექტემბერს, მესტიის მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა უკვე ტრადიციად ქცეული, ISAF-ის მისიაში გმირულად დაღუპული, მე-3 ქვეითი ბრიგადის, 31-ე ქვეითი ბატალიონის, სამხედრო მოსამსახურის, უფროსი ლეიტენანტის, მუხრან შუკვანის სახელობის გარდამავალი თასის ტურნირი ფეხბურთში.

ტურნირი 2014 წლიდან ტარდება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის ინიციატივითა და ა.(ა).ი.პ. „მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით.

ტურნირის ოფიციალურ გახსნას ესწრებოდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერი, კაპიტონ ჟორჟოლიანი, ასევე ესწრებოდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის წარმომადგენლები: დასავლეთის სარდალი, ბრიგადის გენერალი-კობა გრიგოლია, განათლების სარდლის მოადგილე, პოლკოვნიკი-მალხაზ მერლანი; თავდაცვის ძალების მთავარი სერჟანტი-გიორგი გოგოჭური; დასავლეთ სარდლობის სერჟანტი-რევაზ მწითური; II ბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი-ირაკლი ჭითანავა; III ბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი-მიხეილ გოგნაძე; საარტილერიო ბრიგადის მეთაური, პოლკოვნიკი-დავით ფოფხაძე; მაიორი - დავით გულბანი; ვიცე პოლკოვნიკი- გოდერძი აფრასიძე; ვიცე პოლკოვნიკი-მანუჩარ რატიანი; თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი-გიორგი ბეჟანიძე; II ბრიგადის სერჟანტი-ვეფხვია ფერცულიანი; მთავარი სერჟანტი-რამაზი პაიკიძე.

ღონისძიების საზეიმო გახნის და დახურვის ცერემონიალზე მესტიის ადგილობრივმა ანსამლმა „რიჰო„-მ წარმოადგინა ფოლკლორული ნომრები.

ტურნირის შესარჩევ ეტაპზე 16-მა გუნდმა მიიღო მონაწილეობა, აქედან 5 გუნდი საქართველოს შეიარაღებული ძალებს წარმოადგენდნენ, 11 გუნდს კი ადგილობრივი.

5 სექტემბერს, ფინალურ შეხვედრაზე, ღირსეული მოგება მოიპოვა დაბა მესტიის ნაკრებმა გუნდმა (ანგარიშით 4:2). მეორე ადგილი დაიკავა სენაკის №2 ბრიგადის გუნდმა და მესამე ადგილზე გავიდა მესტიის მუნიციპალიტეტის ლენჯერის ნაკრები გუნდი. საფინალო შეხვედრის მსაჯი გახლდათ პოლკოვნიკი, მალხაზ მერლანი, რომლის დიდი მონდომებით და ჩართულობით დაარსდა „მუხოს“ ტურნირი.

ტურნირის საუკეთესო ბომბარდირად თეზო ხაჭვანი დასახელდა (იფარის გუნდი), საუკეთესო მოთამაშის ტიტული მიიღო, აჩი რატიანმა (მესტიის გუნდი), საუკეთესო მეკარედ, ცოტნე კვარაცხელია დასახელდა (სენაკის №2 ბრიგადა), ყველაზე პატარა მოთამაშის ტიტული მიიღო, გიორგი ფილფანმა (მესტიის გუნდი).

გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებითა და სიგელებით. გუნდებს ასევე გადაეცათ საქართველოს გმირის, მუხრან შუკვანის ფოტოთი და ლოზუნგით დაბეჭდილი მაისურები. გამარჯვებულ გუნდს გარდამავალი თასი გადასცა, უფროსი ლეიტენანტის, მუხრან შუკვანის დედამ, კლარისა გულედანმა. ფასიანი და სიმბოლური საჩუქ-

რები გადაეცათ ასევე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის წარმომადგენლებს.

დაჯილდოების შემდეგ სტუმრები, მეგობრები და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, ISAF-ის მისიაში გმირულად დაღუპული უფროსი ლეიტენანტის, მუხრან შუკვანის საფლავზე მივიდნენ და პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

დამფუძნებელი: მესტიის მუნიციპალიტეტის მერია მისამართი: დ. მესტია სეტის მოედანი №1	გაზეთი მოამზადა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და ინფორმაციული უზრუნველყოფის განყოფილებამ: თამარ გოშთელიანი, მაია ფილფანი, ლაშა ჯაფარიძე და ხატია წიკლაური.	გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორი“-ს კომპიუტერულ ცენტრში	ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 599 85 55 25 თამარ გოშთელიანი 595 08 95 30 ხატია წიკლაური ელ. ფოსტა: meriasazogadoeba@gmail.com